საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ თავმჯდომარის ბრძანება

KA012119101586521

№40/ს

10 / ნოემბერი / 2021 წ.

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შექმნის საშუალების აღიარების შესახებ

განმცხადებელი: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო (შემდგომში - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, განმცხადებელი).

მოთხოვნა: კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალების (დეტალები: დასახელება - IAS ECC V2, ვერსია: v. 1.3 in configuration #1 on ID-One Cosmo v8.2 open platform) აღიარება.

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 2021 წლის 13 ოქტომბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ციფრული მმართველობის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მომართა № 01/205973 წერილით, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შექმნის საშუალების (დასახელება - IAS ECC V2, ვერსია: v. 1.3 in configuration #1 on ID-One Cosmo v8.2 open platform) აღიარების შესახებ. წერილს თან ერთვის შემდეგი დოკუმენტები:

1. სერტიფიკატი ANSSI-CC-2020/50 (ფრანგულ ენაზე) და სერტიფიკატის თარგმანის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (7 გვერდი);
2. გადაწყვეტილება ელექტრონული ხელმოწერისა და კვალიფიციური ელექტრონული ბეჭდის შესაქმნელი საშუალების შესაბამისობის სერტიფიცირების შესახებ, მისი დანართი (ფრანგულ ენაზე) და ქართულ ენაზე თარგმანის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (22 გვერდი).

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ შეისყიდა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალება - დიდი ორმაგი ინტერფეისის ჩიპიანი ბარათები: IAS ECC V2, version 1.3 in configuration #1 on ID-One Cosmo v8.2 open platform (შემდგომში - სააგენტოს მიერ წარმოდგენილი კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალება). სააგენტოს მიერ წარმოდგენილი კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალება ევროპარლამენტისა და საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის № 910/2014 „ელექტრონული იდენტიფიკაციის, შიდა ბაზარზე ელექტრონულ ტრანზაქციებთან დაკავშირებული სანდო მომსახურებებისა და 1999/93/EC დირექტივის გაუქმების შესახებ“ რეგულაციის შესაბამისად მიიჩნევა კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებად. აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნებულია ევროკომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სადაც მითითებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შექმნის საშუალებების ჩამონათვალი და ინფორმაცია მათი გამცემი და მასერტიფიცირებელი ორგანიზაციების შესახებ (https://esignature.ec.europa.eu/efda/notification-tool/#/screen/browse/list/QSCD_SSCD).

როგორც წარმოდგენილ ინფორმაციაში აღნიშნულია, სააგენტოს მიერ წარმოდგენილი კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შექმნის საშუალების უსაფრთხოება შემოწმებულია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რაც დასტურდება შემდეგი წყაროებიდან:

ა) საფრანგეთის პრემიერ მინისტრის 2009 წლის 7 ივლისის № 2009-834 დეკრეტის მე-4 მუხლი (დოკუმენტის ბმული: https://www.legifrance.gouv.fr/loda/id/JORFTEXT000020828212/);

ბ) სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შექმნის საშუალების უსაფრთხოება შემოწმებულია ISO/IEC 15408 (Information technology - Security techniques - Evaluation criteria for IT security) სტანდარტის მიხედვით, რაზეც გაცემულია შესაბამისი სერტიფიკატი.

სააგენტოს მიერ წერილში აღნიშნული ინფორმაცია დასტურდება მის მიერვე წერილზე წარმოდგენილი დანართით (დანართში განთავსებული ინფორმაცია, ასევე ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.ssi.gouv.fr/uploads/20201130_np_anssi_sde_pss_bqa_2710_pj-certificatconformite-_idemia_ias_ecc.vfp_.pdf); დამატებითი ინფორმაცია მითითებულია ბმულზე: https://www.ssi.gouv.fr/uploads/2020/07/anssi-cc-2020_50fr.pdf, ასევე ევროკომისიის ვებ გვერდზე არსებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შექნის საშუალებების ჩამონათვალში, მოწყობილობის დეტალებში.

„კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის N343 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის (შემდგომ - ტექნიკური რეგლამენტი) მე-10 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი იქნა ყველა საჭირო დოკუმენტი, რაც აუცილებელია კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალების აღიარების შესახებ განაცხადის განხილვისათვის.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და ინფორმაციის საფუძველზე იმსჯელა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ წარმოდგენილი კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალების აღიარების თაობაზე.

ტექნიკური რეგლამენტის მე-10 მუხლი ადგენს უცხოეთში აღიარებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებათა საქართველოში აღიარების პირობებს. ამავე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამგვარი საშუალების აღიარებისთვის, პირველ რიგში, აუცილებელია, რომ ეს საშუალება, ევროკავშირის რეგულაციის მიხედვით მიჩნეულ იყოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის შექმნის საშუალებად.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტექნიკური საშუალება - სერტიფიცირებულია ევროკავშირის აღნიშნული რეგულაციის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ, სერტიფიკატი გაცემულია ევროკავშირის მიერ აღიარებული, საფრანგეთის რესპუბლიკის საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების ეროვნული სააგენტოს მიერ. ასევე, აღნიშნულია ევროკომისიის ვებ-გვერდზე არსებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შექნის საშუალებების ჩამონათვალში, მოწყობილობის დეტალებში. ამდენად დაკმაყოფილებულია ევროკავშირის რეგულაციის 29-ე და 30-ე მუხლების მოთხოვნები, რომლებიც სავალდებულოდ მიიჩნევენ რეგულაციის პირობების გათვალისწინებით მოწყობილობათა სერტიფიცირებას.

რეგლამენტის მე-10 მუხლის მიხედვით, აღიარებისათვის დამატებით საჭიროა კიდევ ორი პირობის დაკმაყოფილება. კერძოდ:

ა) მოწყობილობის უსაფრთხოება შემოწმებული უნდა იყოს ISO/IEC 15408 (Information technology - Security techniques - Evaluation criteria for IT security) სტანდარტის მიხედვით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ, რაზეც გაცემული იქნება შესაბამისი სერტიფიკატი;

ბ) მითითებული სერტიფიკატი მოქმედი უნდა იყოს და მისი გაცემიდან არ უნდა იყოს გასული 5 წელზე მეტი;

როგორც განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გადამოწმების შედეგად ირკვევა, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შექმნის საშუალებას გააჩნია საფრანგეთის მასერტიფიცირებელი ორგანოს, საფრანგეთის რესპუბლიკის საინფორმაციო სისტემების უსაფრთხოების ეროვნული სააგენტოს, მიერ გაცემული სერტიფიკატი - ANSSI-CC-2020/50 და მისი გაცემიდან არ არის გასული 5 წელზე მეტი.

ამასთან, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს მსოფლიოში გამოცხადებული პანდემიის გათვალისწინებით, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტზე, რომლის შესაბამისად, „საჯარო დაწესებულებებს, ფიზიკურ პირებს და იურიდიულ პირებს მიენიჭოთ უფლებამოსილება, გამოიყენონ „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონისგან განსხვავებული პირობების შესაბამისად შესრულებული ელექტრონული დოკუმენტი ან/და ელექტრონული ხელმოწერა“. ამდენად, განმცხადებლის მიერ სერტიფიკატები წარმოდგენილია ელექტრონულად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ი“ პუნქტის, მე-11 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის − ციფრული მმართველობის სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, „კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლისთვის სავალდებულო ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 ივნისის N343 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-10 მუხლის საფუძველზე, სააგენტომ გადაწყვიტა:

1. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შექმნის საშუალება (დასახელება - IAS ECC V2, ვერსია: v. 1.3 in configuration #1 on ID-One Cosmo v8.2 open platform) აღიარებულ იქნეს საქართველოში;
2. დასრულდეს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2021 წლის 13 ოქტომბრის № 01/205973 განაცხადის განხილვა. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებისთანავე ეცნობოს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და ძალაში შევიდეს 2021 წლის 2021 წლის 10 ნოემბერს;
3. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის შექმნის საშუალების აღიარების შესახებ ინფორმაცია 2021 წლის 12 ნოემბრამდე შეტანილ იქნას კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლებისა და მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა სიაში;
4. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/ შტამპის შექმნის საშუალების (დასახელება - IAS ECC V2, ვერსია: v. 1.3 in configuration #1 on ID-One Cosmo v8.2 open platform) გამოყენების უფლებამოსილება მიენიჭოს კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებლებისა და მათ მიერ შეთავაზებულ მომსახურებათა სიაში შესაბამისი ინფორმაციის შეტანის მომენტიდან;
5. გადაწყვეტილება შესაძლოა გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით, განმცხადებლისთვის გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ ციფრული მმართველობის სააგენტოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დავით ნადირაშვილი